ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 463

"9" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 ოქტომბრის №25.1687.1912 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ N01.14.11.024.004) და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ N01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, შემდეგ ღონისძიებასთან დაკავშირებით:

ა) მიეცეს კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №641 განკარგულების დანართი №3-ით გათვალისწინებულ პირს - თამაზ ახვლედიანს (პ/ნ. 01024064379) 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე